თემა 5. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება

- ინტელექტუალური საკუთრების არსი და ობიექტები: სამრეწველო საკუთრების ობიექტები: გამოგონებები, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშნები და მომსახურების ნიშნები, საფირმო დასახელებები, ნოუ-ჰაუ, პატენტები და სხვა დამცავი დოკუმენტები
- საავტორო უფლებები და მათი დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება.
- ლიცენზიის არსი და სახეობები,უბრალო განსაკუთრებული და გენერალური ლიცენზიები. სალიცენზიო შეთანხმებების შინაარსი,მხარეთა უფლებები და მოვალეობები. ლიცენზიებით ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები ;
- ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი რეგულირება.

5.1. ინტელექტუალური საკუთრების არსი და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები: გამოგონებები, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშნები და მომსახურების ნიშნები, საფირმო დასახელებები, ნოუ-ჰაუ, პატენტები და სხვა დამცავი დოკუმენტები

ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები (ისშ) სპეციფიკური საქონელია, რომლის გამოყენება სხვა პირთა მიერ შეიძლება მხოლოდ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების მქონე პირთა ნებართვით. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის(WIPO)-ს განმარტებით: ინტელექტუალური საკუთრება განისაზღვრება, როგორც უფლება ლიტერატურის, ხელოვნების, სამეცნიერო ნაშრომებზე, არტისტულ-შემოქმედებით საქმიანობაზე, ხმის ჩანაწერებზე, რადიო და ტელეგადაცემებზე, აგრეთვე გამოგონებებზე ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში, სამეცნიერო აღმოჩენებზე, სასარგებლო მოდელებზე, სამრეწველო ნიმუშებზე, სასაქონლო და მომსახურების ნიშნებზე. აგრეთვე ნებისმიერი დასახელებისა და სავაჭრო აღნიშვნებზე უფლება, რომელიც ეხება ინტელექტუალურ საქმიანობას მრეწველობის, ვაჭრობის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალმა ტემპებმა დღის წესრიგში დააყენა განსაკუთრებული სახის პროდუქტების-- ინტელექტუალური საკუთრების უფლებებისა და ტექნოლოგიური მიღწევების საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაში ჩართვის აუცილებლობა. ინტელექტუალური საქმიანობის უფლებებით ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგანაც ინტელექტუალური საქმიანობის

შედეგებში(ტექნოლოგიებში) იგულისხმება სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ხერხები და მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორების პროდუქტად გარდაქმნის შესაძლებლობას. ტექნოლოგია, როგორც საექსპორტო პროდუქტი სპეციფიკური საქონლის ხასიათს ატარებს, ახალი(ინოვაციური) ტექნოლოგიების მყიდველი(იმპორტიორი) თავის განკარგულებაში ღებულობს მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებს ანდა უკვე შექმნილი და პრაქტიკაში აპრობირებული სამრეწველო-ტექნოლოგიურ პროდუქტს, ან საწარმოო პროცესს მთლიანად, ასეთი სახის ინტელექტუალური პროდუქტის შეძენის და საწარმოო კაპიტალის სახით გამოყენებისას მას ეძლევა ფართო შესაძლებლობა აწარმოოს მაღალი ხარისხისა და კინკურენტუნარიანობის მქონე სასაქონლო პროდუქცია და, შესაბამისად მოკლე და გრძელვადიან პერიოდში მიიღოს დამატებითი მოგება, მზა პროდუქციის ერთეულზე ნაკლები დანახარჯების გაწევის შედეგად.

სამრეწველო საკუთრების ობიექტებს მიეკუთვნება:

- **გამოგონებები;**
- **პატენტები;**
- **სამრეწველო მოდელები;**
- **სამრეწველო ნიმუშები;**
- **სასაქონლო და მომსახურების ნიშნები;**
- **საფირმო ნიშნები;**
- **კონფიდენციალური ინფორმაცია-,,ნოუ-ჰაუ'';**
- **ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიები;**
- **საქონლის წარმოშობის ადგილების დასახელება.**

გამოგონებები--ითვლება სიახლედ, თუ იგი უცნობია ე.წ. ,,ტექნიკის დონიდან''. ტექნიკის დონე განისაზღვრება, როგორც ცოდნის გარკვეული ნაკრები, რომელიც მიღებულია მთელ მსოფლიოში ცნობების შეგროვებისა და ანალიზის გზით. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს ,,აბსოლუტური მსოფლიო სიახლის'' კრიტერიუმი, სხვა ქვეყნებში კი სიახლე შეიძლება იყოს ,,ფარდობითი მსოფლიო სიახლე''. გამოგონება ითვლება საგამომგებნელო სიახლედ, თუ იგი სპეციალისტების შეფასებით არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან.

სამრეწველო გამოყენებადია შემდეგი გამოგონების ობიექტები: მანქანა-მოწყობილობები, წარმოების მეთოდები და ხერხები, მცენარეული და ცხოველური უჯრედების კულტურები და სხვა. აგრეთვე ადრე ცნობილი მოწყობილობების, ხერხების და ნივთიერებების გამოყენება ახალი დანიშნულებით.

სასარგებლო მოდელები ნიმუშები(Industry model).სასარგებლო მოდელებს გამოგონებისაგან განსხვავებით აქვს სამართლებრივი დაცვის დაბალი დონე და გამომგონებლის უფლების გამარტივებული მექანიზმი, რაც თავის მხრივ ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. სასარგებლო მოდელი ცნობილია ,,მცირე გამოგონების'' სახელწოდებით.

სასარგებლო მოდელებს მიეკუთვნება წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების შემადგენელი ნაწილების კონსტრუქციული შესრულება. დაცვის ასეთი ხერხი ყველა ქვეყანაში არ არსებობს.

სასარგებლო მოდელს გამოგონებისაგან განსხვავებით, აფასებენ ორი კრიტერიუმით: სიახლე და სამრეწველო გამოყენებადობა. სასარგებლო მოდელი ახალია, თუ მისი არსებითი ნიშნების ერთობლიობა უცნობია ,,ტექნიკის დონიდან''. ტერმინი ,,არსებითი ნიშნები'' განისაზღვრება საპატენტო უწყების ნორმატიული აქტებიდან.

სამრეწველო გამოყენების კრიტერიუმები იგივეა სასარგებლო მოდელისათვის, რაც გამოგონებისათვის.

სამრეწველო ნიმუშები(Industry design). სამრეწველო ნიმუშებში იგულისხმება ნაწარმის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომელიც განსაზღვრავს მის გარეგან სახეს. სამრეწველო ნიმუშის საშუალებით დგინდება პროდუქტის ფორმაზე(ორნამენტზე) მონოპოლია. მათი სამართლებრივი დაცვა წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ახალია, ორიგინალური და მრეწველობისათვის გამოყენებადია. ამასთან, თუ შესაძლებელია მისი მრავალჯერადი კვლავწარმოება პროდუქციის წარმოების გზით.

სასაქონლო ნიშანი(Trade mark) არის დადგენილი წესით დარეგისტრირებული ნიშანი, რომელიც განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს სხვა საწარმოების ანალოგიური საქონლისაგან. მასში იგულისხმება საქონლისათვის მინიჭებული ორიგინალური აღნიშვნა, რომელიც ემსახურება მისი მწარმოებლის იდენტიფიცირებისა და ინდივიდუალიზაციის მიზანს.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს ნახატი, გრაფიკული და ორიგინალური გამოსახულება, ციფრების, ასოებისა და სიტყვების განსაკუთრებული შეხამება. აგრეთვე საწარმოს მფლობელის სახელი და ფირმის სახელწოდება.

სასაქონლო ნიშნისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს მიეკუთვნება: ორიგინალობა, სიმარტივე და ადვილად დამახსოვრების შესაძლებლობა.

სასაქონლო ნიშანი გამოიხატება თვით საქონელზე, შესაფუთ მასალაზე, საქონელზე მიმაგრებულ ეტიკეტზე. ზოგიერთ ქვეყანაში(დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, შვედეთი და სხვა) სასაქონლო ნიშანს უწოდებენ სავაჭრო მარკას. განვითარებული ქვენების პრაქტიკაში სავაჭრო მარკაში იგულისხმება გარკვეული პროდუქტის და არა მისი მწარმოებლის სასაქონლო ნიშანი, ანალოგიური მნიშვნელობა აქვს ტერმინებს ,, საფაბრიკო ნიშანი'', ,,საფირმო ნიშანი''. ყოველ საწარმოს უნდა ჰქონდეს უამრავი სასაქონლო ნიშანი პროდუქციის ცალკეული სახეებისა და ხარისხისათვის, მაგრამ ერთი სავაჭრო მარკა ან საფაბრიკო ნიშანი. ინტელქტუალური საკუთრების უფლებები სასაქონლო ნიშნების გამოყენებაზე განისაზღვრება საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი დებულებებით და იმ ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებით, სადაც იგი გამოიყენება.

საერთაშორისო ვაჭრობაში სასაქონლი ნიშნის გამოყენება რეგულირდება 1883 წლის პარიზის კონვენციით სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ, 1891 წლის მადრიდის კონვენციით საფაბრიკო და სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ. 1973 წლის 12 ივნისს ვენაში დადებული ხელშეკრულებით სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ.

გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშების სრული და ყოველმხრივი დაცვა ხორციელდება პატენტებით, ხოლო სასაქონლო ნიშნების - მოწმობებით. პატენტები, რომლებიც ადასტურებს გამოგონების, სასრგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის პრიორიტეტს და ავტონომიურობას და მათ გამოყენებაზე აბსოლუტურ განსაკუთრებულ უფლებას. თავის მხრივ მოწმობა განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნის პრიორიტეტს. მფლობელის მონოპოლიურ უფლებას სასაქონლო ნიშანზე, მოწმობაში მითითებული საქონლის მიმართ.

პატენტი. პატენტს აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რადგან მისი მოქმედების ვადის განმავლობაში მფლობელს აქვს შესაბამის გამოგონებაში განსახიერებული პროდუქციის ექსკლუზიური წარმოებისა და გასაღების უფლება(მონოპოლიური ფასით), სანამ დაპატენტებული სიახლე სხვებისათვის გახდება ცნობილი.

პარიზის 1973 წლის კონვენცია, რომელიც დამყარებულია ეროვნული რეჟიმის პრინციპზე დაყრდნობით უზრუნველყოფს კონვენციური პრიორიტეტის დაცვის პრინციპს პატენტის გაცემისა და სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ.

ნოუ-ჰაუ(Know how). ,,ნოუ-ჰაუს'' ცნება გულისხმობს წარმოებისა და პროფესიულ პრაქტიკაში სხვადასხვა სახის ტექნიკურ, აგრეთვე მმართველობით, ეკონომიკურ, კომერციულ, ფინასურ და სხვა სახის ცოდნისა და გამოცდილების გადაცემას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი დაცვა. ეს ტერმინი პირველად გამოიყენეს 1916 წელს აშშ-ში. იგი აღნიშნავდა მინიმალური ძალისხმევით რაიმეს კეთებას(ინგლ. Know how იცოდე როგორ). მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ,,ნოუ-ჰაუს'' განსაზღვრავს, როგორც წარმოების საიდუმლოს შემადგენელ ორგანიზაციულ და კომერციულ ინფორმაციას, რომლის მახასიათებელი ნიშნებია კონფიდენციალობა და კომერციული საიდუმლოება. ნოუ-ჰაუ მოიცავს ტექნიკურ დოკუმენტაციას(ნახაზები, პროექტები, სქემები, ინსტრუმენტები და ა.შ.) ნაწარმის ნიმუშს, საწარმოო და კომერციული ხასიათის ინფორმაციას, მონაცემებსა და გამოცდილებას წარმოების ორგანიზაციაზე და პერსონალის მომზადებაზე. აღნიშნული ინფორმაცია ხელმიუწვდომელია მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

5.2. სალიცენზიო შეთანხმებების არსი და სახეები. სალიცენზიო ხელშეკრულების პირობები და სალიცენზიო გასამრჯელო

თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ლიცენზიებით ვაჭრობამ(License trade) ფართომასშტაბიანი და აქტიური ხასიათი მიიღო. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ლიცენზიებით ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენენ ტექნოლოგიური სიახლეებისა და გამოცდილების დანერგვა, მათ შორის გარიგებები ლიცენზიებზე, გამოგონებათა პატენტებზე, ,,ნოუ-ჰაუზე'', სამრეწველო მოდელებზე, სამრეწვეო ნიმუშებზე, სასაქონლო ნიშნებზე და სხვა.

გამოგონებაზე გამომგონებლის ინტელექტუალურ საკუთრებას იცავს პატენტი, იგი არის გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. პატენტს გამომგონებელზე ან მის მემკვიდრეზე გასცემს კომპეტენტური

ორგანო(კერძოდ, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი-,,საქპატენტი''), რითაც დასტურდება მესაკუთრის განსაკუთრებული მონოპოლიური უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში(ძირითადად 15-20 წლის ვადით ან უფრო მცირე). პატენტმფლობელი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მისი ნებართვის გარეშე პატენტის გამოყენება დაუშვებელია. ზოგჯერ გარკვეულ ტერიტორიაზე პატენტის გამოყენება შეუძლებელია ან არამომგებიანია. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს დაინტერესებულ პირზე გაყიდოს ან გასცეს მისი გამოყენების უფლება სალიცენზიო შეთანხმებით.

სალიცენზიო შეთანხმება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად პატენტის მფლობელი (ლიცენზიარი) თავის კონტრაგენტს (ლიცენზიანტი) საკუთარი პატენტის გამოყენების უფლებას(ლიცენზია) განსაზღვრულ ფარგლებში და პირობებით აძლევს.

ლიცენზიარი(Licensor)--**იურიდიული** პირი, გამოგონების, პატენტის, ტექნოლოგიური გამოცდილებისა და ცოდნის მესაკუთრე თავის კონტრაგენტს გასაცემს ლოცენზიას თავის უფლებების გამოყენებით გარკვეულ საზღვრებში.

ლიცენზიანტი(**Licensiante**), --იურიდიული პირი, რომელიც იძენს მესაკუთრისაგან ლიცენზიას საწარმოო და კომერციულ ცოდნაზე, გამოგონებებზე, პატენტებზე, მათი გამოყენების უფლებით განსაზღვრულ საზღვრებში.

ლიცენზია(License)--არის ლიცენზიარის ნებართვა მისი სამრეწველო კუთვნილებაზე (გამოგონება, სამრეწველო მოდელი, სასაქონლო ნიშანი, ,,ნოუ-ჰაუ'')უფლების სხვა პირზე ლიცენზიატზე გადაცემა განსაზღვრული პირობებით, ეს პირობები, ვადები, მოცულობა, სალიცენზიო გადასხდელები წარმოადგენენ მათ მიერ დადებული სალიცენზიო შეთანხმების შინაარსს და მხარეთა პასუხისმგებლობას.

სალიცენზიო შეთანხმება შეიძლება იყოს მარტივი(უბრალო), განსაკუთრებული(ექსკლუზიური), ან სრული(გენერალური). პირველ და მეორე შემთხვევაში ლიცენზიის გამოყენება დროში და გარკვეულ ტერიტორიაზე შეზღუდულია.

უბრალო ლიცენზია. უბრალო ლიცენზიის დროს ლიცენზიარი ლიცენზიანტს ამ უფლების გამოყენებას მხოლოდ განსაზღვრულ დროში და ტერიტორიზე აძლევს. ამასთან თავადაც შეუძლია ლიცენზიის გამოყენება ან იმავე პირობებით მესამე პირებზე გადაცემა.

განსაკუთრებული ლიცენზია. განსაკუთრებული ლიცენზია გულისხმობს ლიცენზიანტის მონოპოლიურ უფლებას გამოიყენოს გამოგონება, კომერციული და საწარმოო საიდუმლოება და სხვა, მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში. ამასთან უარს აცხადებს მესამე პირებზე ლიცენზიის გაცემაზე და ლიცენზიატთან შეთანხმებულ საზღვრებში საკუთრივ გამოყენებაზე. თუმცა ლიცენზიანტს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. კერძოდ:

- ლიცენზიის გამოყენების დარგობრივი ხასიათი;
- ლიცენზიური პროდუქციის რაოდენობრივი წარმოების ლიმიტი;
- ლიცენზიური პროდუქციის განსაზრვრულ ტერიტორიაზე რეალიზაცია;

- ლიცენზიარისაგან ნედლეულის შესყიდვის ვალდებულება;
- ლიცენზიურ პროდუქციაზე ლიმიტირებული ფასის დადგენა და სხვა.

გენერალური ლიცენზია. გენერალური ლიცენზიის დროს ლიცენზიანტი ლიცენზიარისაგან ყველა იმ უფლებას იღებს, რომელიც პატენტით განსაზღვრული და დაცულია. ასეთი ლიცენზიის გაცემა თითქმის პატენტის გაყიდვის ტოლფასია. მიუხედავად ამისა ლიცენზიარი კვლავ პატენტის მესაკუთრედ რჩება. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ამგვარი სალიცენზიო ურთიერთობები შედარებით იშვიათია, ხოლო უფრო გავრცელებულია მარტივი და განსაკუთრებული სალიცენზიო შეთანხმებები.

სალიცენზიო ხელშეკრულება შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

- პრეამბულა(ინფორმაცია კონტრაგენტებზე, მათი პერსონალური დასახალება და იურიდიული მისამართები.
- ტერმინოლოგიური განმარტებები: სალიცენზიო პროდუქცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, მოწყობილობები, მაკომპლექტებელი დეტალები, პატენტი, ნოუ-ჰაუ, გასაყიდი ფასი და სხვა.
- სალიცენზიო შეთანხმების საგანი: ლიცენზიის დასახელება გადასაცემი უფლების მოცულობის ჭრილში(მარტივი, განსაკუთრებული, გენერალური) პატენტის ნომერი, გასაცემი უფლებების მოცულობა და სუბლიცენზიის გადაცემის პირობები;
- ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის ვადები და პირობები;
- სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების ტერიტორია. ტერიტორიული საზღვრები, სადაც ლიცენზიანტს ეძლევა უფლება აწარმოოს და გაყიდოს სალიცენზიო პროდუქცია;
- .გარანტიები და პასუხისმგებლობა. განისაზღვრება მხარეთა გარანტიები და პასუხისმგებლობა საპატენტო- სამართლებრივ, ტექნიკურ და საწარმოო საკითხებზე ;
- სალიცენზიო გადასახდელები. მითითებული სალიცენზიო გასამრჯელოს მოცულობა და მისი გადახდის პირობები;
- ახალი პატენტები და სრულყოფილება. მხარეთა პასუხისმგებლობა ტექნოლოგიების გაუმჯობესების შემთხვევაში მათი გაცვლის შესახებ;
- ტექნიკური დახმარების პირობები;
- მოსაკრებლები და გადასახდელები;
- კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. ფიქსირდება ვალდებულებები კონფიდენციალობის დაცვის შესახებ, განსაკუთრებით ნოუ-ჰაუს პირობებში.
- დავების განხილვის წესი. მიეთითება დავების არბიტრაჟის მეშვეობით განხილვის წესი;
- სალიცენზიო ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მისი მოქმედების შეწყვეტის წესის პირობები, სალიცენზიო შეთანხმებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;
- სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა საკითხები.

საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში გამოიყენება სალიცენზიო გასამრჯელოს გაანგარიშების რამდენიმე სახე:

1.**როიალტი(ინგლ Roialty)** პერიოდული რეგულარული გადარიცხვა წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ღირებულებიდან. გადახდა ხდება შეთანხმებით (ყოველწლიურად, ყოველკვარტალურად ან განსაზღვრული თარიღისათვი).

როიალტის გაანგარიშება საკმაოდ შრომატევადი პროცესია და ამიტომ საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში მოქმედებს მისი დარგობრივი სტანდარტული განაკვეთები, რომლებიც ჩვეულებრივ, ლიცენზიანტის მთლიანი მოგების 2-10 %, უფრო გავრცელებულია 3-5%.

ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში არსებობს სალიცენზიო გასამრჯელოს სიდიდის განსაზღვრის პირდაპირი რეგულირების ფორმა. მაგ., ინდოეთში არა უმეტეს მოგების 8%-ისა, თურქეთში გაყიდვის მოცულობის 5%-მდე. ნორვეგიაში, შვედეთში, ბრაზილიაში და სხვა ქვეყნებში სალიცენზიო გასახდელები არაპირდაპირი, ირიბი გდასახადების გზით რეგულირდება(აქციზი, დღგ და სხვა).

2.**პაუშალური გასამრჯელო(გერმ.Pauschal** აღებული, მთლიანი) არის ერთჯერადი ფიქსირებული გადასახდელი ანაზღაურება, რომელიც ზუსტადაა დაფიქსირებული ლიცენზიურ შეთანხმებაში და გამომდინარეობს მოსალოდნელი ეფექტიანობისა და მოგების შეფასებიდან, ლიცენზიანტის მიერ ლიცენზიის გამოყენების შედეგებიდან. მისი უპირატესობა იმაშია, რომ ლიცენზიარი მთელ თანხას შედარებით მოკლე დროში იღებს, მოსალოდნელი ფინანსური და კომერციული რისკების გარეშე.

ბოლო პერიოდში სალიცენზიო შეთანხმებებში ფართოდ გავრცელდა პაუშალური გადასახდელისა და როიალტის კომბინირებული ფორმა, ამ ვითარებაში პაუშალური გადასახდელი წინასწარი (ავანსირებადი) გადასახდელის ფორმას იღებს.

5.3. ინტელექტუალური საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები (გამოგონებებზე, სამრეწველო მოდელებზე, სასაქონლო ნიშნებზე და ა.შ) უფლების დაცვა საერთაშორისო რეგულირების აქტიურ სფეროს წარმოადგენს. ამ სფეროში ძირითადად საერთაშორისო შეთანხმებას წარმოადგენს სამრეწველო ობიექტების დაცვის პარიზის კინვენცია, რომლის პირველი რედაქცია რატიფიცირებულია პარიზში 1883 წელს. შემდგომში კონვეცია მრავალჯერ იქნა გადახედილი და მონაწილე ქვეყნებს განსხვავებული რედაქციები გააჩნიათ.

პარიზის კონვენციის ამოცანაა გამოგონებათა, სამრეწველო ნიმუშების დაპატენტებასა და სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაში უპირატესობა მიანიჭოს უცხოელ მოქალაქეებს . კონვენცია არ ითვალისწინებს საერთაშორისო პატენტის,

სამრეწველო ნიმუშის და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის შექმნას, არამედ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას უცხოთში.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO). ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია დაარსდა 1970წელს, მისი შექმნა სათავეს იღებს სამრეწველო და ლიტერატურული საკუთრების ვენის კონვენციიდან (1886წ) და სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციიდან(1883წ). ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის(გაერო) სისტემაში სპეციალიზებული ორგანიზაციის სახით არის ჩამოყალიბებული, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის, მომსახურების, ინფორმაციის გაცვლის და სახელმწიფოთა თანამშრომლობის გლობალური ფორუმია. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს შვეიცარიაში ქ. ჟენევაში. 188 წევრ ქვეყანას WIPO ეხმარება დაბალანსებული საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი სისტემის შემუშავებაში, საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბიზნეს მომსახურებას უწევს სხვადასხვა ქვეყნებს და ეხმარება დავების გადაჭრაში. ასევე, სთავაზობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა სარგებელი მიიღონ ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებით და სთავაზობს ინტელექტუალური საკუთრების უნიკალური ცოდნის ბანკებზე თავისუფალ წვდომას.

ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაცია ეხება ორ ძირითად სფეროს:

1. **სამრეწველო საკუთრება,** რომელიც ეხება გამოგონებებს, სასაქონლო ნიშნებს, სამრეწველო მოდელებისა და ნიმუშების დაცვის უფლებას;

2. **საავტორო უფლებებს,** ძირითადად ლიტერატურის, მუსიკის, სამხატვრო, ფოტოგრაფიულ, კინემატოგრაფიულ და აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (ისსო) გააჩნია შემდეგი სტრუქტურა :

- **გენერალური ასამბლეა;**
- **კონფერენცია;**
- **სამი ადმინისტრაციული საბჭო;**
- **საკოორდინაციო კომიტეტი;**
- **საერთაშორისო ბიურო;**
- **მუდმივი კომიტეტები სამრეწველო საკუთრების ინფორმაციის შესახებ.**

გენერალური ასამბლეა შედგება ისსო-ს წევრი სახელმწიფოებისაგან, რომლებიც არიან პარიზის კონვენციის წევრები. ასამბლეა იკრიბება 2 წელიწადში ერთხელ და შეიძლება მოწვეული იქნას საგანგებო სესიის სახით. გენერალური ასამბლეა ღებულობს ერთობლივ ბიუჯეტს ყველა წევრისათვის 2 წლის ვადით.

საკოორდინაციო კომიტეტის წევრები იხილავენ ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს. ამზადებენ დღის წესრიგის პროექტს და ბიუჯეტს, ასრულებენ სხვადასხვა ამოცანებს.

ისსო-ს მუდმივი კომიტეტი სამრეწველო საკუთრების ინფორმაციის შესახებ უზრუნველყოფს ისსო-ს ფარგლებში სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობას, სახელმწიფოთა და რეგიონული სამსახურებს გადასცემს საპატენტო ინფორმაციას ყველა საკითხებზე.

საერთაშორისო ბიურო ორგანიზაციას უწევს წევრ სახელმწიფოთა შორის კონფერენციებს და თათბირებს, ამზადებს მოხსენებებს, დოკუმენტებს და გეგმებს, ახდენს პროექტების რეალიზაციას, აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას. ბიუროს დაფინანსება ხდება წევრ-სახელმწიფოთა შენატანებით და საერთაშორისო სარეგისტრაციო მომსახურებაზე მიღებული მოსაკრებლებით.

ისსო სამრეწველო საკუთრების სფეროში ატარებს კონსულტაციებს, ამზადებს კადრებს, განვითარებად ქვეყნებს უზრუნველყოფს ინსტრუქციული მასალებით და ინფორმაციებით მათი გააქტიურების მიზნით. ისსო-ს გააჩნია პერიოდული გამოცემები ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე.

საქართველო ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია 1991 წლიდან.

ინტელექტუალურ საკუთრების საერთაშორისო დაცვის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მომზადებული შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სავაჭრო ასპექტების შესახებ(Agreement on Trade-Related Aspeqts of Intellectual Property Rights Induding Trade in Counterfeit Googs--TRIPS) ამ შეთანხმებით განსაზღვრულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს გაერთიანების პრინციპი სამრეწველო საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციისა და სტოკჰოლმის დებულებების საფუძველზე. TRIPS შეთანხმებაში გათვალისწინებულია სასაქონლო ნიშნებისა და ყველა ინტელექტუალური საკუთრების ახალი ობიექტების დაცვა. კერძოდ, მონაცემთა ბაზები, კომპიუტერული პროგრამები და სხვა.

მთლიანობაში TRIPS-ის შეთანხმების ძირითადი მიზანია ინტელექტულური საკუთრების სფეროში ქმედითი და ეფექტური სამართლებრივი ნორმების ფორმირების გზით დაცვის დონის დადგენასთან ერთად, განსაზღვრავს იმ ზომებს, რომელმაც უნდა მიიღოს ყოველმა წევრმა ქვეყანამ ინტელექტუალური საკუთრების უფლების რეალიზაციისათვის.

თავი 6. საერთაშორისო სალიზინგო ოპერაციების რეგულირება

- საერთაშორისო ლიზინგის არსი, სახეობები და უპირატესობები.
- საერთაშორისო ლიზინგის ხელშეკრულების ძირითადი დებულბები;
- სალიზინგო ოპერაციების რეგულირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

6.1. საერთაშორისო ლიზინგის არსი, სახეობები და უპირატესობები.

საერთაშორისო ლიზინგი ეწოდება უძრავი ან მოძრავი ქონების არენდით გაცემას სათანადო კონტრაქტების გაფორმებით, ქონების მფლობელი, რომელიც ლიზინგით გასცემს საქონელს ეწოდება არენდგამცემი, ხოლო ქონების მიმღებს ეწოდება არენდატორი. საარენდო ოპერაციები ითვლება საერთაშორისოდ, როდესაც არენდით გაცემული საქონელი კვეთს არენდგამცემის ქვეყნის საზღვრებს.

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში გამოიყენება არენდის სხვადასხვა სახეები:

ჩარტერი (2-3 დღიდან 6 თვემდე);

რენტინგი- არის მოკლევადიანი არენდა(რამდენიმე თვიდან ერთი წლის ვადით), არენდატორის მიერ მისი შემდგომი შესყიდვის უფლების გარეშე. რენტინგის საგანი ხშირადაა ტურისტული საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები.

ჰაირინგი- არის საშუალოვადიანი არენდა ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით. არენდატორისათვის საიჯარო ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე. ასეთ საარენდო საგნებს განეკუთვნება სატრანსპორტო საშუალებები, საგზაო-სამშნებლო მასალები, სამონტაჟო მოწყობილობები, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მოწყობილობები.

ლიზინგი- არის გრძელვადიანი არენდა(5-დან რამდენიმე ათეულ წლამდე). საიჯარო ქონების სარგებლობისა ან შესყიდვის უფლებით. ლიზინგის საგანია ძვირადღირებული მანქანა-მოწყობილობები, ინოვაციური ტექნიკა და ტექნოლოგიები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო დანიშნულების ნაგებობები(ქარხნები, ფაბრიკები), საგზაო და სამშენებლო მოწყობილბები, გემები, თვითმფრინავები, კონტეინერები. პოლიგრაფიული და ენერგეტიკული მოწყობილობები.

საერთაშორისო სალიზინგო ოპერაციები ხორციელდება სალიზინგო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის თანახმად სალიზინგო ქონების მფლობელი (მეიჯარე) იძენს ძვირადღირებულ მანქანა- მოწყობილობებს და იჯარით გასცემს რამდენიმე წლით ლიზინგის მიმღებზე (მოიჯარეზე). თუ სალიზინგო ქონების მფლობელს არ სურს ფინანსური რისკი გასწიოს, ამ შემთხვევაში სალიზინგო გარიგებებში მონაწილეობს კომერციული ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საფინანსო-საინვესტიციო ორგანიზაცია და სხვა ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ნაღდი ფულით იძენს სალიზინგო ქონებას და გამოდის არენდგამცემის როლში, იგი ფაქტობრივად პასუხისმგებელია სალიზინგო ოპერაციების დაფინანსებაზე და ფინანსური რისკების მართვაზე. ლიზინგის მიმღები არის ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლიც დაინტერესებულია გამოიყენოს სალიზინგო ობიექტი(ქონება).

ლიზინგის ოპერაციებმა ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მისი წარმოშობა დაკავშირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თუმცა მოგვიანებით გავრცელდა ევროპაში და იაპონიაში.

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში 30-მდე სალიზინგო ოპერაციების სახეობა არსებობს. მათ შორის ლიზინგის ძირითადი სახეობებია შემდეგი:

- ლიზინგის ობიექტის მიწოდების სფეროს მიხედვით განასხვავებენ შიდა და საერთაშორისო ლიზინგს, რომელიც წარმოდგენილია საქსპორტო და საიმორტო

ლიზინგის სახით. იმ შემთხვევაში თუ სალიზინგო კომპანია ყიდულობს ლიზინგის ობიექტს ეროვნული კომპანიისაგან(სალიზინგო ქონების მფლობელი) და აწვდის მას უცხოელ არენდატორს ლიზინგით სარგებლობისათვის უწოდებენ საექსპორტო ლიზინგს. საიმპორტო ლიზინგის შემთხვევაში კი პირიქით, სალიზინგო კომპანია ლიზინგის ობიექტს ყიდულობს უცხოური კომპანიისაგან და გადასცემს სამამულო ლიზინგით მომხმარებელს. სუბლიზინგი ნიშნავს, რომ ლიზინგის გამცემი ერთ ქვეყანაში არის რეგისტრირებული და მეორე ქვეყანაში არის შუამავალი, ხოლო მესამე ქვეყანაში აწვდის ლიზინგის ობიექტს.

- ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის ურთიერთქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ: წმინდა ლიზინგს, როდესაც ლიზინგის მიმღებს მხოლოდ სალიზინგო ქონება გადაეცემა, ხოლო ფართო ლიზინგის შემთხვევაში სალიზინგო ობიექტთან ერთად მრავალგვარი თანმხლები მომსახურება გაეწევა ლიზინგის მიმღებს(ტექნიკური მომსახურება, დამონტაჟება, რემონტი, დაზღვევა, მარკეტინგი, რეკლამა, პერსონალის ტრენინგი, კვალიფკაციის ამაღლება და სხვა.
- სალიზინგო ობიექტის მიწოდების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ფინანსურ და ოპერატიულ ლიზინგს.

ოპერატიული ლიზინგი. ოპერატიული ლიზინგისათვის დამახასიათებელია სალიზინგო კონტრაქტის მოკლე ვადა(5-8 წლის ვადით), რომელიც ნაკლებია სალიზინგო ობიექტის საამორტიზაციო ვადაზე. ასეთ შემთხვევაში მანქანა-მოწყობილობები წარმოადგენენ მრავალჯერადი სალიზინგო ხელშეკრულების საგანს და სრული ამორტიზაცია ხდება რამდენიმე არენდატორის მიერ მათი თანდათანობითი გამოყენების შედეგად. ოპერატიული ლიზინგის გამოყენების პირობას წარმოადგენს ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობების ბაზრის არსებობა, რაც გულისხმობს სალიზინგო ობიექტის შემდგომ გაცემას ნაკლები გადასახადით. ლიზინგის ობიექტის გადაცემასთან ერთად თანმხლები მომსახურების (რემონტი, დაზღვევა, მარკეტინგი და სხვა) შეთავაზებაც იგულისხმება.

ფინანსური ლიზინგი. ფინანსური ლიზინგისათვის დამახასიათებელია გარიგების ხანგრძლივი ვადა 10 წელზე მეტი ვადით, რაც დაკავშირებულია სალიზინგო ობიექტის საამორტიზაციო ვადასთან. მთელი ვადის განმავლობაში საარენდო გადასახდელი სრულად დაფარავს მოწყობილობის ღირებულებას. აგრეთვე უზრუნველყოფს ლიზინგის გამცემის მიერ გარკვეული მოგების მიღებას. ასეთ შემთხვევაში საარენდო მოწყობილობა არ შეიძლება იყოს მრავალჯერადი ლიზინგური შეთანხმების ობიექტი. ამგვარი ოპერაცია წააგავს საკრედიტო ოპერაციას, იმ განსხვავებით, რომ ლიზინგი 100%-იან დაფინანსებას უზრუნველყოფს, ხოლო ჩვეულებრივი დაკრედიტება, როგორც წესი გულისხმობს წინასწარი საკომისიოს გადახდით ნაწილობრივ დაკრედიტებას(85%). ამასთან ერთად ფინანსური სალიზინგო კონტრაქტის მთელი ვადის განმავლობაში შეუძლებელია ხელშეკრულების გაუქმება. ფინანსური ლიზინგი სამმხრივ შეთანხმებას მოითხოვს - სალიზინგო ქონების მფლობელს (მომწოდებელს), სალიზინგო კომპანიასა და ლიზინგის მიმღების სახით. სალიზინგო კომპანია თავის თავზე იღებს გარიგების ფინანსურ ნაწილს, ხოლო ლიზინგის ობიექტის გამოყენების, დაზიანების რისკი ეკისრება ლიზინგის მიმღებს(არენდატორს).

ფინანსური ლიზინგის კონტრაქტის დასრულების შემდეგ ლიზინგის მიმღებს(არენდატორს) შეუძლია:

- შეისყიდოს სალიზინგო ქონება ნარჩენი ღირებულებით:

- დადოს ახალი ხელშეკრულება ლიზინგის გამცემთან ახალ სალიზინგო მოწყობილობებზე.

საბანკო ლიზინგი. საბანკო ლიზინგი, რომელშიც ლიზინგურ კომპანიად გამოდის ბანკი, იგი სალიზინგო მოწყობილობას ლიზინგის მიმღების შეკვეთით იძენს და სალიზინგო შეთანხმებით მას გადასცემს.

შებრუნებითი ლიზინგი- (ინგლ. Lease-back-უკუიჯარა), იგი ნიშნავს სალიზინგო კომპანიის მიერ მოწყობილობის ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენას უცხო ქვეყანაში მყოფი მწარმოებელი ფირმიდან, შემდგომში იმავე ფირმისათვის იჯარით გაცემის მიზნით.

განახლებადი ლიზინგი-რევოლვერული(ინგლ. Revolve). ამ დროს სალიზინგო კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს შეუძლია კონტრაქტის პროლონგაცია ან შეცვალოს ლიზინგის ობიექტი განახლებული მოწყობილობებით.

ლიზინგური კონტრაქტის უპირატესობებია:

- ლიზინგით მიღებული საშუალებები (აქტივები) ლიზინგის მიმღების საკუთრება არ არის, ამიტომ სალიზინგო ობიექტი ქონების გადასახდით არ იბეგრება;
- ლიზინგის მიმღებს აქვს შესაძლებლობა სალიზინგო კონტრაქტის დასრულების შემდეგ გამოისყიდოს სალიზინგო ობიექტი ნარჩენი ღირებულების მიხედვით ან გააფორმოს ახალი კონტრაქტი მოდერნიზებულ მოწყობილობაზე და თავიდან აიცილოს მორალურ ცვეთასთან დაკავშირებული დანაკარგები.
- სალიზინგო ხარჯები მიმდინარე ხარჯებს მიეკუთვნება, რის გამოც მოგების გადასახადით არ იბეგრება;
- ძველი ლიზინგური ქონება შესაძლებელია შეიცვალოს ახალი, ინოვაციური მოწყობილობებით;
- ლიზინგური კონტრაქტი სპეციფიკური კაპდაბანდების სპეციფიკური ფორმაა, რომლის დროსაც ლიზინგის მიმღებს სათანადო ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნია და ძვირადღირებული სალიზინგო ქონების გამოყენებისა და ექსპლოატაციის უფლებს იძენს.
- სალიზინგო ქონების დაკარგვის რისკს ეწევა ლიზინგის გამცემი და სხვა;
- სალიზინგო საზღაურის გადახდა შესაძლებელია მოწყობილობის ექსპლოატაციის დაწყების ა და ლიზინგის მიმღების მიერ მოგების მიღების შემდეგ.

6.2. სალიზინგო ოპერაციების რეგულირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ლიზინგის ბიზნესი ეფუძნება რთულ ეკონომიკურ-სამართლებრივ ნორმებს და საჭიროებს სერიოზულ სამართლებრივ რეგულირებას. კერძოდ, ბელგიაში, საფრანგეთში, იტალიაში შექმნილია სპეციალური სალიზინგო კანონმდებლობა, ხოლო მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში სალიზინგო ხელშეკრულება რეგულირდება სამოქალაქო სამართლის კოდექსის (თავი მე-4, 576-580 მუხლები) დებულებებით, რომლითაც განსაზღვრულია ლიზინგის ხელშეკრულების ფორმა, ლიზინგის გამცემისა და მიმღების პასუხისმგებლობა და ვალდებულებები, ლიზინგის მიმართ გამოყენებული წესები.

სალიზინგო ოპერაციები საერთაშორისო დონეზე სამართლებრივად მოწესრიგებულია:

- ვენის კონვენციით ,,საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (ვენა, 1980);
- უნიდრუას კონვენციით ,,საერთაშორისო საფინანსო ლიზინგის შესახებ''(ოტავა, 1988წ. 28 მაისი), რომელშიც ჩამოყალიბებულია უნიფიცერებული წესები სალიზინგო ოპერაციების შესახებ, განსაზღვრულია ლიზინგის გამცემისა და მიმღების უფლება-მოვალეობანი და სალიზინგო ფინანსური გადახდების სპეციფიკა.

თავი 7. საერთაშორისო გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება

- საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები;
- გადაზიდვის ხელშეკრულების სტრუქტურა და შინაარსი;
- საზღვაო გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება;
- საავიაციო გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება;
- სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება.

7.1. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები

მსოფლიო მასშტაბით საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებამ, სახელმწიფოების, საერთაშორისო კომპანიების, ფიზიკური და იურიდიული პირების კავშირურთიერთობის გაღრმავებამ საფუძველი შეუქმნა და მოითხოვა საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების განვითარება. თანამედროვე ეტაპზე წარმოუდგენელია ცივილეზებული საზოგადოების არსებობა ტრანსპორრტის გარეშე. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და გლობალიზაციის მიმდინარე პროცესების ფონზე მგზავრთა გადაყვანა, ტვირთების გადაზიდვა და სხვა სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს, რაც მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას, როგორც ცალკეული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა და ნორმატიული აქტბით.

საერთაშორისო და ქვეყნის დონეზე საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები ხორციელდება სხვადასახვა გადამზიდველთა მიერ ცალკეული სახელმწიფოების ისე კერძო კომპანიების კუთვნილებაში ასრსებული სატრანსპორტო საშუალებების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების გმოყენებით.

საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით:

- სატრანსპორტო საშუალების სახეობა- საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობლო, მილსადენები და ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები;
- სატრანსპორტო ოპერაციის საგანი- ტვირთი, მგზავრი, ფოსტა:
- გადაზიდვის პერიოდულობის მიხედვით- სახაზო, ტრამპული, ნაოსნობა, რეგულარული საჰაერო მიმოსვლა და ჩარტერული გადაზიდვები.
- სატრანსპორტო საშუალების მიმოსვლის სახე- თანიმდევრული, პირდაპირი, შერეული ანუ კომბინირებული.

საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების სუბიექტები არიან:

- გადამზიდველები- სახელმწიფო ან კერძო კომპანიები(რკინიგზა, საზღვაო და სამდინარო სა ნაოსნოები, საჰაერო კომპანიები და საავტომობილო ფირმები;
- ტრანსპორტის სხვა ადმინისტრაციული ქვედანაყოფები(სადგურები, პორტები, აეროპორტები, ნავსადგურები და ა.შ.);
- ტრანსპორტის სფეროს მართვის ორგანოები(სამინისტრო, დეპატამენტი, სატრანსპორტო კომპანიები და სხვა);
- მომხმარებლები (კლიენტურა) - მგზავრები, ტვირთის, ბარგის, ხელბარგის, ფოსტის გამგზავნები და ტვირთის მიმღებები;

საერთაშორისო გადაზიდვები ხორციელდება მსოფლიოს სატრანსპორტო სისტემისა და მიმოსვლის გზების გამოყენებით. ერთი სახის სატრანსპორტო საშუალებით განხორციელებული საერთაშორისო გადაზიდვა პირდაპირ საერთაშორისო გადაზიდვას წარმოადგენს, ხოლო ორი ან მეტი ტრანსპორტის გამოყენების შემთხვევაში ადგილი აქვს შერეულ ანუ კომბინირებულ გადაზიდვებს.

7.2.საზღვაო გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზღვაო ტრანსპორტს, რომელსაც განვითარების დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ბოლო პერიოდის სტატისტიკური მონაცემებით საზღვაო ტრანსპორტზე მოდის მთლიანი ტვირთბრუნვის 60-65%.

საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვები ხორციელდება ორი ტიპის ხელშეკრულების - კონოსამენტისა და ჩარტერების საფუძველზე. პირველი დამახასიათებელია რეგულარული ანუ ხაზური გადაზიდვებისათავის, ხოლო მეორე ტრამპული ანუ არარეგულარული გადაზიდვებისათვის. ჩარტერის ხელშეკრულებები თავისუფლების პრინციპზეა დამყარებული. ამიტომ გემის მფლობელს შეუძლია დამფრახტავთან შეთანმებით ნებისმიერი რეისით გადაზიდოს ტვირთი და აიღოს შეზღუდვების გარეშე პაშუხისმგებლობა კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საერთაშორისო სახაზო ნაოსნობაში ტვირთების გადზიდვა ხორციელდება კონოსამენტის საფუძველზე, კონოსამენტი ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებაა ანუ გემის მლობელის მიერ ტვირთის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც განმეორებულია ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტის პირობები.

კონოსამენტი საქონელგანკარგულებითი დოკუმენტია, რომლის ფლობა ნიშნავს საქონელზე საკუთრების უფლებას, შესაბამისად განასხვავებენ კონოსამენტის შემდეგ სახეებს: სახელობითი კონოსამენტი, რომელიც გაიცემა იმ პირზე, რომელზეც გამოწერილია კონოსამენტი. საორდერო კონოსამენტი, რომლის სახელზეა ინდოსირებული კონოსამენტი. წარმომდგენზე გამოწერილი კონოსამენტით უფლებამოსილება გააჩნია იმ პირს, რომელიც ფიზიკურად წარადგენს კონოსამენტს. იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო პარტიას მრავალი მყიდველი ყავს, კონოსამენტი შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს და თითოეულ მყიდველს გამოეწეროს წილობრივი კონოსამენტი-დელივერორდერის სახით. გემის კაპიტნის მიერ დადასტურებული დელივერ-ორდერი განკარგულებითი დოკუმენტია. შერეული გადაზიდვების შემთვევაში, როდესაც ტვირთების გადაზიდვა ხორციელდება საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით გამოიყენება ერთი გამჭოლი კონოსამენტი.

კონოსამენტის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია ბრიუსელის კონვენციით ,,კონოსამენტის უნიფიკაციის ზოგიერთი წესის შესახებ''(ე.წ. ჰააგა-ვიზბის წესები). 1968 წლის ბრიუსელის ოქმით აღნიშნულ კონვენციაში შეტანილია ზოგიერთი ცვლილებები. კერძოდ, დიდი ყურადღება დათმობილი აქვს ტვირთებზე საზღვაო გადაზიდვების პასუხისმგებლობის საკითხებს. 1978 წელს გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRALI) მიერ მიღებულია კონვენცია ,, ტვირთების საზღვაო გადაზიდვის წესების შესახებ'', რომელიც ცნობილია ჰამბურგის წესების სახელწოდებით. საქართველო მიუერთდა აღნიშნულ კონვენციას 1995 წლიდან.

7.3.საჰაერო გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო გადაზიდვების ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საჰაერო ტრანსპორტს, რომლის ტვირთბრუნვის უდიდესი წილი 90% მოდის მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე. ექსპერტების შეფასებით უახლოეს პერიოდში საჰაერო ტრანსპორტი მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევენ საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს. საჰაერო გადაზიდვების ნაკლოვანებაა მისი მაღალი სატარიფო განაკვეთები და მომსახურების ფასი.

საერთაშორისო საჰაერო ფრენები შეიძლება იყოს რეგულარული და არარეგულარული. რეგულარულ საჰაერო რეისებს არეგულირებს 1929 წლის ვარშავის კონვენცია ,,საჰაერო გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ'', რომელშიც შეტანილია ცვლილებები 1955 წლის ჰააგის, 1971 წლის გვატემალისა და 1975 წლის მონრეალის ოქმების საფუძველზე.

არარეგულარულ საჰაერო რეისებს აწესრიგებს 1961 წლის გვადალახარის კონვენცია ,, ჩარტერული საჰაერო გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ'' და სხვა.

საჰაერო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვისას გამოიყენება გადაზიდვის დოკუმენტი, რომელსაც ვარშავის კონვენციის პირვანდელი დოკუმენტით ეწოდებოდა ავიასატრანსპორტო დოკუმენტი, ხოლო შესწორებულ რედაქციაში მას ავიაზედნადები ეწოდება. გადამზიდავს უფლება აქვს ტვირთის გამგზავნისაგან ყოველ საფუთავზე ცალ-ცალკე მოითხოვოს ავიაზედნადები.

7.3. სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

მსოფლიოში გადაზიდვების ფართო მასშტაბებით მეორე ადგილზეა სარკინიგზო ტრანსპორტი, მაგრამ ბოლო წლებში მისი მოცულობითი წილი მცირდება საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებითა და კონკურენციით. მაგ., დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ მთელი გადაზიდვების 15-20% მოდის სარკინიგზო ტრანსპორტზე, ხოლო 40-45 % მოდის საავტომობილო ტრანსპორტზე, დანარჩენი 35-40% მოდის სხვა ტრანსპორტის საეობებზე. დსთ-ს ქვეყნებში გადაზიდვები უმეტესად ხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტით, რომლის ხვედრითი წილი 55- 60% შეადგენს. მინიმალურია საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვების წილი და შეადგენს 8-10%-ს. ლათინურ ამერიკაში საავტომობილო ტრანსპორტის წილი მთლიან ტვირთბრუნაში მაღალია და შეადგენს 65%-ს , აზიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უდრის 35%-ს.

საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვების ხვედრითი წილი მთლიან ტვირთბრუნვაში ჩამორჩება საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტს, მაგრამ გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები.

- ტვირთის გადაზიდვა გამგზავნის ,,კარიდან'' მიმღების ,,კარამდე'' სწრაფი მიწოდება დანიშნულების დროსა და ადგილზე;
- ტვირთების უდანაკარგოთ შენახვა და ჩაბარება მიმღებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო გადაზიდვების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია და მიმართულებაა კონტეინერული გადაზიდვების სისტემის ჩამოყალიბებაა. რომელსაც დიდი ეკონომიკური ეფექტი გააჩნია შერეულ გადაზიდვებში,

როდესაც ტვირთი მოძრაობს ჯერ სახმელეთო, შემდგ საზღვაო და ბოლოს ისევ სახმელეთო ტრანსპორტით. ამ თვალითსაზრისით კონტენეირების გამოყენება დიდ ეფექტს იძლევა.

მსოფლიოში შექმნილია ტრანსკონტინენტური კონტეინერული ხიდები, რომელიც გულისხმობს, როგორც საავტომობილო, საზღვაო და ჩქაროსნულ სარკინიგზო გადაზიდვებს, მათ შორის აღსანიშნავია ტრანსციმბირული, იაპონია-დასავლეთ ევროპა, ტრანსამერიკული, დასავლეთ ევროპა- ახლო და შუა აღმოსავლეთის კონტეინერული ხიდები.

1972 წლიდან მიღებული იქნა კონტეინერებთან დაკავშირებით საბაჟო კონვენცია, რომლითაც რეგულირდება კონტეინერების ტრანზიტული გადაადგილების, საბაჟო მოსაკრებელისა და გადასახდის, დროებითი შემოზიდვისა და გადაზიდვის ვადები, კონტენეირებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო გადაზიდვებში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ნავთობპროდუქტებით და ბუნებრივი აირის გადაზიდვას მილსადენი ტრანსპორტით. მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის ვაჭრობის მასშტაბების გაზრდასთან ერთად საერთაშორისო ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენება.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და სატრანზიტო პოტენციალი უძველესი დროიდან გამოყენებულია საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. აგრეთვე ამას ხელს უწყობს კლიმატური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში იქნეს გამოყენებული სატრანსპოორტო მაგისტრალები. ამასთან ერთად რეგულარული საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვები კასპიის, შავი ზღვისპირა და ხმელთაშუაზღვისპირა პორტებით უზრუნველყოფს საქართველოს მონაწილეობას ევრაზიის სატრანზიტიო დერეფნის სისტემაში, რაც მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობებით აკავშირებს ევროპის კონტინენტს აზიურ ქვეყნებთან.